

თინა აბულაშვილი

**ბორის კუფტინი – არქეოლოგი და ეთნოგრაფი**



ამ სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერის, ბორის ალექსის ძე კუფტინის მოღვაწეობა. საქართველოს არქეოლოგიის კვლევაში მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი თბილისში ჩამოსვლა დაემთხვა მნიშვნელოვან გარდატეხის პერიოდს ქართულ არქეოლოგიაში. ამ პერიოდიდან დაიწყო გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ბორის კუფტინმა მრავალი ძეგლი შეისწავლა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა როგორც კონკრეტულ კვლევებში ასევე თეორიულ-მეთოდოლოგიურ სამუშაოებშიც. მისი ენციკლოპედიური მასშტაბის მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ანთროპოლოგიას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამუზეუმო საქმიანობაში. ბორის კუფტინის ბიოგრაფია ორ ნაწილად იყოფა: რუსეთში მოღვაწეობის პერიოდი, როცა მისი კვლევები, სამეცნიერო საქმიანობა ძირითადად ეთნოგრაფიას ეხებოდა და საქართველოში მოღვაწეობის პერიოდი, როცა მან მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა საქართველოს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მიუძღვნა.

ბორის ალექსის ძე კუფტინი დაიბადა 1892 წლის 21 იანვარს ქ. სამარაში. მამამისი, ალექსი ნიკოლოზის ძე კუფტინი,

ბუზულუსკის სარეზერვო ბატალიონის პორუჩიკი იყო. დედა, მარია ნიკოლოზის ასული ფეოდოროვა მასწავლებელი. ბორის კუფტინი ორენბურგის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა. სასწავლებელში სწავლისას აგროვებდა ბოტანიკურ და ზოოლოგიურ კოლექციებს, ფეხით იმოგზაურა არალის ზღვიდან ტაშკენტამდე. 1909 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1911 წელს სტუდენტურ მოძრაობაში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც უნივერსიტეტიდან გარიცხეს და საზღვარგარეთ გაასახლეს. იგი ორი წელი იმყოფებოდა საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში, სადაც ისმენდა ლექციებს ჰუმანიტარულ დისციპლინებში [აბულაშვილი 2009:4]. 1913 წელს, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან დაკავშირებით, რუსეთში გამოცხადდა ამნისტია და ბორის კუფტინი მოსკოვში დაბრუნდა. მან სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაამთავრა ბოტანიკოსის სპეციალობით. რამოდენიმე ხნის განმავლობაში უშტატო თანამშრომლის სტატუსით ასისტენტ-მასწავლებლად მუშაობდა მოსკოვის სოფლის მეურნეობის აკადემიაში, ბოტანიკის კათედრაზე. პარალელურად კითხულობდა ბოტანიკის კურსს შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტში. ასევე მუშაობდა მოსკოვის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიაში პროფ. კ.ნ. მაიერთან. ამ პერიოდში დაწერა პირველი საკანდიდატო ნაშრომი არალიტივის წყალგამყოფის ფლორის შესახებ [Масон 1954:91], მოაწყო გეოგრაფიული გამოკვლევების მიზნით ექსკურსი ანაუსა და ამურდარიის ზედა წელზე. რუსეთის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის, მოსკოვის სექციის ეთნოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, შემდგომში კი მოსკოვის ცენტრალურ-სამრეწველო მუზეუმის დირექტორის ვ. ბოგდანოვის ხელმძღვანელობით ბორის კუფტინმა შეისწავლა ყაზახეთის ეთნოგრაფია და შეაგროვა მასალები იქაური კალენდრის შესახებ. სწორედ ამ თემას მიეძღვნა მისი პირველი სტატია, რომელიც 1916 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „ეთნოლოგიური მიმოხილვა“ [Куфтин 1916:124]. 1917 წელს მან ჩააბარა გამოცდები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანთროპოლოგიაში, არქეოლოგიაში და გეოგრაფიაში და წარმოადგინა მეორე საკანდიდატო ნაშრომი „ჯუნგარიის ალათაუს ოროგრაფია“, რომელიც 1916 წელს ჯუნგარიის ალათაუში (მთათა სისტემა ყაზახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში) ჩატარებულ მოგზაურობის შედეგებს ასახავდა. ამის შემდეგ პროფ. დ. ანუჩინის მიერ ორი წლით დატოვებული იქნა უნივერსიტეტში, ანთროპოლოგიის კათედრაზე, საპროფესოროდ

მოსამზადებლად [აბულაშვილი 2009: 5-6]. უნდა აღინიშნოს, რომ ბორის კუფტინის, როგორც ეთნოგრაფის ჩამოყალიბებაში, დიდი როლი სწორედ დ. ანუჩინმა და ვ. ბოგდანოვმა შეასრულეს. ამ უკანასკნელთან ბორის კუფტინი გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე თანამშრომლობდა. ფ. დებეცი აღნიშნავდა, რომ ბორის კუფტინის მეცნიერული მოღვაწეობის პირველი პერიოდი, მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირის ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლას ეძღვნებოდა [Денец 1954:167]. მართლაც, ბორის კუფტინის პირველი შრომები ძირითადად ეთნოგრაფიას ეძღვნება. 1918 წელს იგი არჩეულ იქნა გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე მასწავლებელ-ასისტენტის თანამდებობაზე. 1919 წელს, გაზაფხულზე, ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და მიიღო დოცენტის წოდება. მას დაევალა ანთროპოლოგიის კათედრაზე ლექციების კურსის კითხვა „პირველყოფილი კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიაში“ [Денец 1954:167]. პარალელურად მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დ. ანუჩინის სახ. ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, სადაც საბჭოს მიერ დაევალა ეხელმძღვანელა ანთროპოლოგიის ციკლისათვის. შემდგომში ხელმძღვანელობდა შესაბამისს ასპირანტურასაც. 1924 წელს ა. როსოვ-კუფტინთან ერთად ბორის კუფტინმა ექსპედიცია მოაწყო მოსკოვის მიდამოებში. მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოაქვეყნა სტატია [Куфтин 1928]. 1922 წლის ოქტომბრის თვიდან ბორის კუფტინი ყირიმის ნახევარკუნძულის შემსწავლელი საზოგადოების წევრი იყო, იგი აქტიურად მონაწილეობდა ორგანიზაციის კვლევით მუშაობაში. ორგანიზაცია ნახევარკუნძულის ყოველმხრივ შესწავლას ისახავდა მიზნად (გეოლოგიურად, არქეოლოგიურად, ეკონომიკურად, ბიოლოგიურად და ა.შ). 1924 წელს პოლიტექნიკურ მუზეუმში გაიმართა ორგანიზაციის სხდომა, სადაც ბორის კუფტინი ყირიმის ეთნოლოგიური შესწავლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა [Алымов, Решетов 2003:237]. 1923 და 1925 წლებში ანთროპოლოგიური ინსტიტუტის და საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების დავალებით, რომლის სწავლული მდივანი იყო ვ. ბოგდანოვი, ბორის კუფტინმა რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო ყირიმში. აქ ჩატარებული კვლევები საფუძვლად დაედო მის შრომებს ყირიმელი თათრების კულტურის შესწავლის შესახებ. 1921, 1925 და 1926 წლებში ბორის კუფტინი ატარებდა მცირე კვლევებს და აგროვებდა მასალებს. ამ კვლევების ანგარიში მან 1927 წლის 7-10 დეკემბერს გამართულ ეთნოლოგთა მეორე ყრილობაზე წაიკითხა.

1924 წელს ვ. ბოგდანოვის ხელმძღვანელობით მოსკოვში გაიხსნა ეთნოგრაფიის ცენტრალური მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ცენტრი გახდა. ამ მუზეუმში 1924 წლიდან 1930 წლამდე ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა ციმბირის, შუა აზიის და კავკასიის განყოფილებას [აბულაშვილი 2009:5]. მან გამოაქვეყნა ორი სამეცნიერო-პოპულარული შრომა მუზეუმის ექსპოზიციების შესახებ [Куфтин 1926: 1927a]. ამ სტატიებში ასახულია მეცნიერის სამუზეუმო საქმიანობა. მან ჩაატარა ინვენტარიზაცია და აღწერა ტიბეტელების, მონგოლთა ბურიატების სტატუეტების კოლექცია, რომლებიც მანამდე მისი სიტყვებით „მუზეუმში შემოსვლის დღიდან უტყვად ელაგა თაროებზე“ [Куфтин 1927a:4].

ეთნოგრაფიის ცენტრალური მუზეუმი აქტიურ საექსპოზიციო საქმიანობას ეწეოდა. ამ საქმიანობაში აქტიურ და ორგანიზატორულ მონაწილეობას იღებდა ბორის კუფტინიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი კვლევების გეოგრაფია. თუ ადრე მხოლოდ რუსეთის ევროპულ ნაწილს იკვლევდა, ახლა მონაწილეობას იღებდა ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და კავკასიაში მონყობილ ექსპედიციებში. ექსპედიციებში მისი აქტიური და ინტენსიური მონაწილეობის შედეგად 1926-1929 წლებში მნიშვნელოვანი სამუზეუმო კოლექციები შეიქმნა მოსკოვის ცენტრალურ-სამრეწველო ოლქის მუზეუმსა და ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმში [Алымов, Решетов 2003:227]. 1926 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური ინსტიტუტის და ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმის დავალებით, ბორის კუფტინმა ჩაატარა პალეოეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევები ჩრდილო ოსეთში და ნაწილობრივ საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთში. 1927-1928 წლებში სწავლობდა ტუნგუსი და მანჯურიელი ხალხების კულტურას. დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ბაიკალის და მდ. ანგარის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თათრების ყურეში, ამურზე, ოხოტის ზღვის სანაპიროზე, კუნძულებზე უდი და ლანგერი. მან კვლევები ჩაატარა აღმოსავლეთ სახალინზე სადაც მისი მეუღლე ვ. სტემენკო-კუფტინაც მონაწილეობდა, რომელმაც პალეოაზიატების და ტუნგუსების მუსიკალური კულტურის შესახებ გამოაქვეყნა სტატია [Стешенко-Куфтина 1930:81-108]. 1929 წელს ეთნოგრაფიის ცენტრალური მუზეუმის დავალებით ბორის კუფტინმა მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია საქართველოში – რაჭასა და მესხეთში [აბულაშვილი 2009:7].

ბორის კუფტინი აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა მა-

ტერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაშიც, სადაც ეთნოგრაფიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერის თანამდებობაზე ირიცხებოდა, შემდეგ კი ეთნოგრაფიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ იქნა დანიშნული [Джапаридзе 1993:247]. 1925-1926 წლებში მატერიალური კულტურის აკადემიის მოსკოვის სექციის დავალებით არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა მდ. ოკის აუზში. 1926 წელს ქ. ქერჩის არქეოლოგიური კონფერენციის დავალებით კვლევებს ატარებდა ტამანის ნახევარკუნძულზე. იგი კვლევებში მატერიალური კულტურის ობიექტებს ამკარა უპირატესობას ანიჭებდა. კვლევებისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო XX საუკუნის 20-ანი წლების მოსკოველი ეთნოგრაფებისათვის. ამ პერიოდში ისინი ძირითადად ორ მუზეუმთან იყვნენ დაკავშირებული – ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმთან და მოსკოვის ცენტრალურ-სამრეწველო მუზეუმთან.

ამ წლებში რამოდენიმე სამეცნიერო ცენტრთან სხვადასხვა თეორიული მიმართულების სკოლა არსებობდა. ვ. ბოგდანოვის „კულტურულ-ისტორიულ სკოლას“ ანუ „კულტურულ-ისტორიულ მეთოდს“, რომლის არსი განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული ყოფითი მოვლენების კონკრეტულ შესწავლაში მდგომარეობდა, ეწინააღმდეგებოდა „ევოლუციური მეთოდი“, რომელიც ემყარებოდა აბსტრაქტულ „ზოგადსაკაცობრიო ყოფას“. მატერიალური კულტურისადმი განსაკუთრებული ყურადღება თვით სამუზეუმო სპეციფიკიდან და იმ დროში პოპულარული, „კულტურულ-ისტორიული მეთოდი“ თეორიული დებულებებიდან გამომდინარეობდა. „კულტურულ-ისტორიული მეთოდით“ კვლევის დროს, მკვლევარი რეგიონის შესწავლისას, იყენებდა-კომპლექსურ მეთოდს დაემყარებოდა არქეოლოგიურ, ისტორიულ, ლინგვისტურ და სხვა მონაცემებს. ეს მეთოდი აისახა ბორის კუფტინის იმდროინდელ შრომებშიც. გარდა ამისა, ვ. ბოგდანოვი, კატეგორიულად სკეპტიკურად უდგებოდა ეთნოგრაფების მიერ „თანამედროვეობის შესწავლის“ საკითხს, რასაც ბორის კუფტინიც იზიარებდა. „მოსკოვური სკოლის“ ეს საერთო თვისება კარგად გამოიკვეთა მოსკოველ და ლენინგრადელ (სანკტ-პეტერბურგი) ეთნოგრაფთა სხდომებზე [Альмов, Решетов 2003: 230].

მუზეუმმა ეთნოგრაფთა ორი სხდომა ჩაატარა 1926 და 1927 წლებში. ბორის კუფტინმა ორივე სხდომაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო. სხდომების მთავარი მიზანი იყო მეთოდის და რეგიონის ეთნოლოგიური შესწავლის საკითხების განხილვა [Богданов 1927:3]. მოხსენებით გამოვიდნენ ვ. ბოგდანოვი, ს. ტოლსტოვი, დ. ზელენინი, ბ. კუფტინი. სხდომის მომწვევთა აზრით,

ეთნოგრაფია და მხარეთმცოდნეობა სტიქიურად ვითარდებოდა, რასაც სხდომის ზოგი გავლენიანი მონაწილე „კულტურულ-ისტორიულ სკოლას“ უკავშირებდა. მათი აზრით აუცილებელი იყო ამ დარგების ერთიან თეორიულ და მეთოდოლოგიურ კალაპოტში მოქცევა. მოსკოველი ეთნოგრაფები: კუფტინი, პრეობრაჟენსკი, ტოლსტოვი ერთსულოვნად იცავდნენ „კულტურულ-ისტორიულ სკოლას“, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა. ყველაზე ოპტიმისტურად ბორის კუფტინი იყო განწყობილი. ის აღნიშნავდა: „კულტურულ-ისტორიული სკოლა კულტურის საკითხებს ისტორიულ ასპექტში განიხილავს და ამას ისტორიულ პროცესად მიიჩნევს, მაშინ როცა ევოლუციონისტური სკოლა არ იძლევა საშუალებას განიხილებოდეს ცალკეული კულტურების ურთიერთზემოქმედების საკითხი. „კულტურულ-ისტორიული სკოლის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის თეორიული დებულებებიდან გადავიდა კონკრეტული ფაქტების ანალიზზე გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ქრილში“ [Куфтин 1929:222]. „კულტურულ-ისტორიული სკოლა არსებობს და ვითარდება“ [Куфтин 1916:222, 224; Алымов, Решетов 2003:232]. მართალია, ვ. ბოგდანოვის „კულტურულ-ისტორიულ სკოლა“ დასავლეთ ევროპული დიფუზიონისტური სკოლების ზეგავლენის შედეგად წარმოიშვა, მაგრამ ის თავისუფალი იყო დიფუზიონიზმის უკიდურესობებისაგან [Алымов, Решетов 2003:232]. სხდომის თეორიული დისკუსიები უშუალოდ ბორის კუფტინის კვლევებს მიეძღვნა. მისი შრომები ძირითადად შედარებითი მეთოდის გამოყენებას ეფუძვნებოდა. შესასწავლი რეგიონის „კულტურული ელემენტების ფორმირებაში“ ბორის კუფტინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფართო პარალელების მოზიდვას და შედარებას მეზობელი რეგიონების და კულტურების არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მასალებთან [Алымов, Решетов 2003:238].

1929 წლის 5-11 აპრილს ქ. ლენინგრადში ჩატარდა ეთნოგრაფთა ისტორიული მნიშვნელობის სხდომა, რომელსაც მოსკოველი და ლენინგრადელი ეთნოგრაფები ესწრებოდნენ. სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილებოდა სავლელ მუშაობის პრინციპებიც. ამ სხდომაში ბორის კუფტინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. მისმა მოხსენებამ დიდი გაღიზიანება გამოიწვია რადიკალ-მარქსისტებს შორის. ახალგაზრდა მარქსისტმა ვ. აპტეკარმა განაცხადა: „მე პრეზიდენტის დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ არ მოხდა ბორის კუფტინის მოხსენების პირველი ნაწილის გილიოტინირება. რაც შეეხება კუფტინს, აქ ნებისმიერს შეეძლო კონსტატირება მის მსოფლმხედველო-

ბაში პირველყოფილი თეორიული ქაოსის არსებობისა. ამაზე დროის დახარჯვა არ ღირს“ [AMA :287]. კრიტიკოსების დიდი უკმაყოფილების მიზეზი გახდა ასევე ბორის კუფტინის თავისუფალი დამოკიდებულება მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიის მთავარ ტერმინთან „ფორმაცია“. კუფტინი საუბრობდა არანაციონალურ (კლასობრივ, პოლიტიკურ და სხვა) ერგოლოგიურ, რასობრივ და ზოგადად კულტურულ ფორმაციებზე. მოხსენების შემდეგ მას ბევრი კითხვა დაუსვეს. დამსწრეთა უმეტესობა მოითხოვდა დაეზუსტებინა გამოყენებული ტერმინები. ბორის კუფტინი სრულად და კარგად ვერ იყო გარკვეული მარქსისტულ ტერმინოლოგიაში. მან მოხსენების დასაწყისშივე განმარტა, რომ „არ გააჩნდა სპეციალური მარქსისტული განათლება და ამიტომ ეთნოლოგიის საფუძვლებს ვერ გადმოსცემდა დიალექტიკური მატერიალიზმის ტერმინოლოგიასა და კატეგორიებში“ [AMA:246], ამიტომ მისი პასუხები ფორმულირების სირთულით განსხვავდებული იყო. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხებოდა მის მიერ არაერთხელ გამოთქმულ თეზისს ეთნოლოგიის და ისტორიის კავშირის შესახებ, ასევე ეთნოგენეზის გაგებას, რომელიც მათ დამაკავშირებელ რგოლად მიაჩნდა. ის აქტიურად იცავდა თავისი მოხსენების თეზისებს [AMA:249; Алымов, Решетов 2003: 252-253]. ბორის კუფტინი იზიარებდა მარქსიზმის აქტუალურობას, მაგრამ მეცნიერების განვითარებაში უმთავრესად, პლურალიზმს და თავისუფლებას მიიჩნევდა. ახალგაზრდა მეცნიერმა ვ. აბტეკარმა ბორის კუფტინი მ. პოკროვსკის მიმდევრად გამოაცხადა და მიაკუთვნა „ისტორიკოსებს პოკროვსკის ცეხიდან“ [Алымов, Решетов 2003:254]. სხდომა ორ ნაწილად გაიყო – ერთის მხრივ ლენინგრადადელი მეცნიერები ვ. ბოგორაზის ხელმძღვანელობით და მეორეს მხრივ მოსკოველები, რომლებიც ძირითადად სამუზეუმო საქმიანობასთან იყვნენ დაკავშირებული და ექსპედიციური მეთოდით მუშაობდნენ. ეთნოგრაფის მუშაობის ხასიათის შესახებ დისკუსიაში კუფტინი და ბოგორაზი წარმოადგენდნენ ორ სხვადასხვა დაპირისპირებულ მხარეს. ამ საკმაროდ მკვეთრ დაპირისპირებაში მოსკოველები: კუფტინი, პრეობრაჟენსკი, ტოლსტოვი, ლევინი, ტოკარევი ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი პოზიცია და მეცნიერების თავისუფალი გაგება. ბორის კუფტინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „არ შეიძლება ნივთები გავიგოთ ისე როგორც ეს ესმოდა მათ შემქმნელებს, ისინი უნდა განიხილებოდეს შედარებითი, ფართო ეთნოლოგიის შუქზე“ [AMA:340]. მან სხდომაზე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი დააყენა, მათ შორის: ეთნოგრაფიული მუზეუმების



როლის, სამუზეუმო ცენტრების და სამხარეო მუზეუმების კავშირის აუცილებლობის, ექსპედიციების სწორად ორგანიზაციისა და კოლექციების შექმნის შესახებ და ა.შ. საველე მუშაობას იგი უპირველესად მუზეუმების მუშაობას უკავშირებდა, რადგან მისი აზრით, სწორედ მუზეუმი იყო ეთნოლოგიური ინფორმაციის ძირითადი საცავი „მუზეუმში მოთავსებული ყველა ექსპონატი, ზუსტად დაფიქსირებული ენით, ფოლკლორით და მუსიკალური მელოდიებით, ეთნოლოგიისათვის წარმოადგენს რეალურ მასალას“ ამბობდა კუფტინი [Куфтин 1929:128]. მეთოდოლოგიური საკითხების განხილვასთან დაკავშირებით სხდომაზე მოსკოველ და ლენინგრადელ ეთნოგრაფებს შორის მკვეთრი აზრთა სხვაობა გამოიკვეთა. ბოგარაზი, შტერნბერგი და მათი მიმდევრები თვლიდნენ, რომ ეთნოგრაფის მუშაობაში მთავარი და ძირითადი პრინციპი იყო ხანგძლივი საველე კვლევები და იმ ხალხის ან ხალხების ენის ცოდნა რომლებსაც იკვლევდნენ. ბორის კუფტინი და სხვა მოსკოველი მეცნიერები კი კვლევებში უმთავრესად მატერიალურ კულტურას და „ეთნოლოგიურ“ განზოგადებას მიიჩნევდნენ. თავის საბოლოო სიტყვაში ბორის კუფტინმა არ უარყო „სტაციონალური მეთოდის“ მნიშვნელობა, თუმცა მყარად იდგა და იცავდა იმ პოზიციას, რომ ეთნოლოგია დაფუძნებული უნდა ყოფილიყო შედარებით მეთოდზე და ფართოდ უნდა მოეზიდა პარალელები [АМА:340; Алымов, Решетов 2003:255]. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, „დიდი ქართველების“ წლებში, არც სტაციონარული და არც ექსპედიციური მეთოდები არ იყო მნიშვნელოვანი. უპირატესობა მიენიჭა რადიკალ-საზოგადოებათმცოდნეების (რომლებიც ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ „ზევიდან“ ჰქონდათ მხარდაჭერა) და მათი მომხრეების შეტევას „ძველი“ შეხედულებების“ მქონე ეთნოგრაფებზე და იდეოლოგიური პლურალიზმის მიმდევრებზე. ამ რადიკალებმა იდეოლოგიური პლურალიზმის მიმდევრები ბურჟუაზიული მეცნიერების წარმომადგენლებად გამოაცხადეს. ამ კატეგორიას მიაკუთვნეს ბორის კუფტინიც.

XX საუკუნის 30-ან წლებში შეთხზულ „სლავისტების“ საქმეზე ჰუმანიტარი მეცნიერების დიდი ჯგუფი დააპატიმრეს, მათ შორის ათი ეთნოგრაფი და ბორის კუფტინის უახლოესი თანამშრომელი ეთნოგრაფიის ცენტრალური მუზეუმიდან ნ. ლებედევა [Алымов, Решетов 2003:258]. სამეცნიერო და სასწავლო დანესებულებებში დაიწყო „წმენდა“, გაძლიერდა სახელმწიფო-პარტიული ზენოლა მეცნიერებაზე. ბორის კუფტინს ჯერ მეცნიერული მოღვაწეობა აეკრძალა, ხოლო 1930 წლის



27 სექტემბერს კონტრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და სამი წლით გაასახლეს ჩრდილოეთში, ქ. ვოლოგდაში [Алымов, Решетов 2003:257]. ცოტა რამ თუა ცნობილი მეცნიერის ამ უძნელეს წლებზე. ცნობილია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მან მაინც არ შეწყვიტა სამეცნიერო მუშაობა. იმ დროისათვის გამოსაცემად მზადდებოდა შორეული აღმოსავლეთის ენციკლიპედია, რისთვისაც 1932 წელს მან დაწერა სტატია [Бутенина 1989:73-74]. 1933 წელს ბორის კუფტინი გადასახლებიდან დაბრუნდა ყველა უფლების აღდგენით, მაგრამ მოსკოვში მუშაობის გაგრძელება აღარ შეეძლო, რადგან იგი ოფიციალურად მიაკუთვნეს „ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგთა ჯგუფს“ რომელთაც ბრალად ბურჟუაზიული შეხედულებების მიმართ არაკრიტიკული დამოკიდებულება ედებოდათ [Этнография 1934:776]. 1933 წლიდან ბორის კუფტინმა უარი განაცხადა რომელიმე ეთნოგრაფიულ დაწესებულებაში მუშაობაზე და საერთოდ ეთნოგრაფიულ სამუშაოებში მონაწილეობაზე.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგია თავიდანვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ბორის კუფტინის სამეცნიერო მოღვაწეობაში. ის 1925 წლიდან რუსეთის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის, მოსკოვის სექციის ნამდვილი წევრი იყო. XX საუკუნის 20-ან წლებში არქეოლოგიაში სამი მეთოდოლოგიური მიმართულება არსებობდა: კლასიკური, ევოლუციონისტური და პალეოეთნოლოგიური. უკანასკნელი დაკავშირებული იყო ორ უნივერსალურ სკოლასთან, რომლის დამაარსებელი იყვნენ: პეტერბურგში პროფ. ვ. ვოლკოვი და მოსკოვში დ. ანუჩინი [Генинг 1982:79]. პალეოეთნოლოგიური მიმართულების მთავარი მიმდევარი, ანთროპოლოგიის ინსტიტუტში, ბორის კუფტინის კოლეგა ბ. შუკოვი იყო. პირველი არქეოლოგიური სამუშაოები ბორის კუფტინმა რიაზანის გუბერნიაში ჩაატარა. 1923 წელს ბ. შუკოვთან ერთად მოსკოვის ახლოს განახორციელა არქეოლოგიური კვლევები და კვლევების ანგარიში გამოაქვეყნა [Куптин 1925]. არქეოლოგიაში ბორის კუფტინს ემპირიული კვლევების გარდა, აინტერესებდა თეორიული პრობლემა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევების ინტეგრაციის შესახებ.

1933 წლის აპრილში ბორის კუფტინმა დახმარება სთხოვა, პროფ. გიორგი ნიორაძეს (რომელთანაც ანთროპოლოგიურ ინსტიტუტში ერთობლივი მუშაობა აკავშირებდა), რათა გადმოსულიყო საქართველოში. იმავე წლის დეკემბერში გიორგი ნიორაძის ხელშეწყობით ბორის კუფტინი თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

არქეოლოგიის განყოფილებაში ჯერ მეცნიერ-კონსულტანტად, შემდეგ კი უფროს სპეციალისტად [აბულაშვილი 2009:7]. საფიქრებელია, რომ ამ გადმოსახლებამ მეცნიერი ახალი რეპრესიებისაგან დაიცვა. ის ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც მან რუსეთში ყოფნისას გაიარა, მისადმი მიძღვნილ არც ერთ სტატიაში თუ შრომაში არ არის მოხსენიებული გასაგები მიზეზების გამო. 1933 წლიდან მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ახალი პერიოდი იწყება და ის მთლიანად საქართველოს არქეოლოგიის კვლევისადმი მიძღვნილი. ამიერკავკასია მეცნიერის სამეცნიერო ორბიტაში ადრეც შედიოდა, 1929 წელს ეთნოგრაფიის ცენტრალური მუზეუმის მიერ საქართველოში (რაჭა, მესხეთი), მოწყობილ ექსპედიციაში, ბორის კუფტინი ვ. სტეშენკო-კუფტინასა და მხატვარ ვ. ვატიწინთან ერთად, ცალკე რაზმის შემადგენლობაში მონაწილეობდა [აბულაშვილი 2009:7]. აქ ის მატერიალური კულტურის ძეგლებს იკვლევდა. თბილისში ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება ქართველ არქეოლოგთა მუშაობაში. პირველივე წლებში, ივ. ჯავახიშვილის დავალებით, მან გულმოდგინედ შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში დაცული, ყოფილი კავკასიის მუზეუმის უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა. სისტემატიზაცია ჩაუტარა, მოაწესრიგა და დაათარილა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციები. ამ დიდი მუშაობის შედეგად 1934 წელს ბორის კუფტინის და გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, რომლის ექსპოზიციის გეგმა ბორის კუფტინმა მოამზადა. გამოფენას ეწოდებოდა „წინაკლასობრივი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“ [აბულაშვილი 2009:8]. ამ სათაურში ნათლად აისახა ბორის კუფტინის ეთნოგრაფიული ინტერესებიც. ისტორიოგრაფების აზრით, ამ გამოფენამ დიდი ბიძგი მისცა არქეოლოგიური კვლევის განვითარებას საქართველოში. ა. აფაქიძე წერდა: „ძალზე დიდია პირველი არქეოლოგიური გამოფენის მნიშვნელობა. ახალგაზრდა მკვლევართა მთელმა თაობამ მიიღო მეთოდოლოგიური და სპეციალური ცოდნა“ [Анакидзе 1964:5-6]. მუზეუმში დაცული ამ კოლექციების შესწავლისა და დაკვირვების შედეგებმა შემდგომში ასახვა ჰპოვა ბორის კუფტინის შრომებში. არქეოლოგიური გამოფენის მოწყობის შემდეგ დაინყო ახალი ეტაპი საქართველოს არქეოლოგიის განვითარებაში.

1934-1935 წლებში ბორის კუფტინი მონაწილეობდა ი. მეშჩანი-ნოვის ხელმძღვანელობით მოწყობილ აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის „გვაროვნულ და ანტიკური ხანის საზოგა-

დოების“ შემსწავლელ რაზმში. 1936 წელს „ენიმკის“ დავალებით სამტრედიის რაიონის სოფ. დაბლაგომში იკვლევდა ადრეელის-ისტორი ხანის ქვევრსამარხებს და ნაციხვარის სამოსახლო ბორცვს [ჯაფარიძე 1959:76]. აღმოჩენილი მასალის საფუძველზე მან შეძლო კოლხეთის იმ შესაბამისი ფენების დათარიღება, რომლებიც მსგავსი კერამიკის ფრაგმენტებს შეიცავდა. იგი დაბლაგომის კერამიკას ადგილობრივად მიიჩნევდა. ნაციხვარის ქვედა კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ადრეული ფორმის კერამიკული ნაწარმის საფუძველზე, ბორის კუფტინმა დაასკვნა, რომ სწორედ აქედან გამომდინარეობდა ანტიკურ კოლხეთში კერამიკის ზოგიერთი ტიპი. ფიქრობდა, რომ დაბლაგომის ქვედა ჰორიზონტის კერამიკა თავისი ფესვებით ენეოლითში აღწევდა და გენეტიკურად ენათესავებოდა წალკის ციკლოპური ნამოსახლარის ქვედა ფენის კერამიკას [Куфтин 1950:136]. 1937 წელს მან არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა აფხაზეთში, სოფ. კიურდერეში და აზანთაში, სადაც გათხარა დოლმენები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ეს ძეგლები ძვ.წ. III ათასწ.-ის და ძვ.წ. II ათასწ.-ის მიჯნით დაათარიღა. მანამდე ეს ძეგლები ახ.წ. II საუკუნით თარიღდებოდა, რისი საფუძველიც აქ ადრე, ჩაშვებულ სამარხებში აღმოჩენილი რკინის იარაღები და ოქროს მონეტები იყო. ბორის კუფტინის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა განსაკუთრებული კულტურული კომპლექსები გამოავლინა, რომელთა საფუძველზეც დადგინდა, რომ ძვ.წ. II ათასწ.-ის I ნახევარში წინა აზიისაგან დამოუკიდებლად დასავლეთ საქარ-თველოს და საერთოდ დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა თვითმყობადი კულტურა [Куфтин 1944:306]. ბორის კუფტინმა შეისწავლა სოფელ ანაკლიაში მდებარე „დიხა-გუძუბას“ საცხოვრებელი ბორცვის არქეოლოგიური მასალა, რის შედეგადაც ოთხი კულტურული ფენა გამოყო [Куфтин 1950:152, 242, 248, 250, 253]. გამოავლინა მანამდე უცნობი ადრეული კულტურული ფენების არსებობა, რომლებიც წინ უსწრებენ გვიანბრინჯაოს ხანას. სამოსახლო ბორცვების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ კოლხეთის დაბლობი ძველთაგანვე მჭიდროდ დასახლებული და ძლიერ განვითარებული კულტურული ადგილი იყო. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დადგინდა ქართველი ტომების ადრეული სამეურნეო-ეკონომიკური და ეთნოკულტურული ჩამოყალიბების პროცესის არსებობა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები ბორის კუფტინმა გამოაქვეყნა ორ ტომიან ნაშრომში „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის“ [აბულაშვილი 2009:77].

1936-1940 წლებში ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა ნალკის არქეოლოგიურ ექსპედიციას თრიალეთში. გათხრები მიმდინარეობდა ნალკის ზეგანზე. ამ გათხრების შედეგებმა მთლიანად შეცვალა საქართველოს წარსულის შესახებ არსებული შეხედულებები. იმ პერიოდში მეცნიერებაში დომინირებდა აზრი, რომ კავკასიასა და საქართველოში მეტალურგიული წარმოება მზა სახით ძვ.წ. II ათასწ.-ის და ძვ.წ. I ათასწ.-ის მიჯნაზე, რკინის გამოჩენასთან ერთად უეცრად წარმოიშვა [Куфтин 1941:3]. ახალი აღმოჩენების შედეგად ეს შეხედულება მთლიანად გაბათილდა. ბორის კუფტინმა ნალკის პლატოზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის თვითმყოფადი, ადგილობრივი კულტურა გამოავლინა. მან მრავალი ძეგლი გათხარა. გამოყო ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურები ენეოლითიდან მოყოლებული რკინის ხანამდე. გამოავლინა მანამდე სრულიად უცნობი „მტკვარ-არაქსის“ და „თრიალეთის“ კულტურები. შესაძლებელი გახადა თვალნათლივ წარმოგვედგინა მეტალურგიული ინდუსტრიის განვითარების უწყვეტი ჯაჭვი საქართველოს ტერიტორიაზე, ის მჭიდრო კავშირები, რომელიც საქართველოს აკავშირებდა წინა აზიის ქვეყნებთან. ამ გათხრების შედეგებზე დაყრდნობით პირველად შექმნა საფუძვლიანი პერიოდიზაცია და ქრონოლოგია. ახლებურად გაშუქდა კავკასიის უძველესი ისტორია. თავისი მეცნიერული შეხედულებები ბორის კუფტინმა შეაჯამა მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ეს ნაშრომი 1941 წელს გამოიცა, ხოლო 1942 წელს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა [აბულაშვილი 2009:8]. თრიალეთში ჩატარებული გათხრების შედეგებმა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური კოლექციების სისტემატიზაციამ ბორის კუფტინს საშუალება მისცა დაეყენებინა ქართული კულტურის ეთნოგენეზის პრობლემა. 1944 წელს მან ჟურნალში „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“ გამოაქვეყნა სტატია [Куфтин: 1944], რომლის ლეიტმოტივს წარმოადგენდა ეჩვენებინა მეცნიერის სწრაფვა, დაემტკიცებინა მის მიერ გამოვლენილი კულტურების თვითმყოფადობა. ამასთან, ეს სტატია იყო მისი კვლევების შემაჯამებელი, თავისებური დასკვნა. არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა და არქეოლოგიური ფონდების კოლექციების ანალიზმა ბორის კუფტინს საშუალება მისცა ეჩვენებინა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი სამინათმოქმედო კულტურის ხანგძლივი, (ძვ.წ. III ათასწ.-დან დაწყებული) განვითარება, სადაც ლითონის დამუშავებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სტატიაში, როგორც ბორის კუფტინისათვის იყო დამახასიათებელი,

უამრავი შედარებითი მასალა და პარალელებია მოზიდული, რომელთა საფუძველზეც ავტორი ასკვნის, რომ „ადრებრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, მრავალი კულტურული დინებები გადიოდა და მჭიდრო კავშირი არსებობდა უძველეს მესოპოტამიის ცენტრებთან“ [Куфтин 1944:300]. ბორის კუფტინმა საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე კულტურული რეგიონი გამოყო, ის ხაზს უსმევდა: „თრიალეთში შუაბრინჯაოს ხანის, ადგილობრივი, მაღალი კულტურული კერის აღმოჩენა, რომლის ფესვები ლითონის წარმოშობის გარიჟრაჟზე, სამხრეთ კავკასიის უძველესი სამინათმოქმედო საზოგადოების მიერ შექმნილ, ჩვენს მიერვე პირველად აღმოჩენილ მტკვარ-არაქსის კულტურაში აღწევს, სერიოზულ დარტყმას აყენებს აქამდე გაბატონებულ შეხედულებებს ქართველური ტომების მიგრაციის შესახებ წინა აზიიდან, კაზადოკიიდან და კილიკიიდან“ [Куфтин 1949:1-2]. 1945 წელს ბორის კუფტინმა სამარშრუტო არქეოლოგიური ექსპედიცია ჩაატარა სამხრეთ ოსეთში და იმერეთში. 1947 წელს განაახლა 1941 წელს თრიალეთში შეწყვეტილი სამუშაოები და მიღებული შედეგები გამოაქვეყნა ნიგნში [Куфтин 1948].

1944 წელს ბორის კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს ნამდვილ ნევრად. ხდებოდა მისი შრომების პუბლიკაცია, მაგრამ მის ცხოვრებაში დადებითზე მეტი უარყოფითი მომენტები უფრო იყო. მას საკმაოდ რთულად ეწყობოდა ურთიერთობები კოლეგებთან. სწორედ ერთ-ერთი მსგავსი გარემოება გახდა მიზეზი იმისა, რომ 1951 წელს პროფ. მ. მასონის მიწვევით გაემგზავრა თურქმენეთში და მონაწილეობა მიიღო სამხრეთ თურქმენეთის კომპლექსურ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელიც ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს ე.წ. „ანაუს კულტურას“ სწავლობდა. ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ რაზმს, რომელიც იკვლევდა საცხოვრებელ ბორცვს „ნამაზგარ თეფე“. ამ კვლევებზე მან ორი სტატია მოამზადა, რომლებიც სამწუხაროდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა [Куфтин 1954; 1956]. სამხრეთ თურქმენეთში, ენეოლითურ, სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე ჩატარებულმა კვლევებმა ბორის კუფტინს საშუალება მისცა შეემუშაებინა პერიოდიზაცია, მან ისეთი ტიპის ძეგლები გამოავლინა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო. ე.წ. „ანაუს კულტურის“ პრობლემა საკვანძო იყო თურქმენეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტორიული პროცესების გასაშუქებლად [Дебец 1954:166-168; Куфтин 1954:22-29; Массон 1954:91-92] და სწორედ ამ პრობლემის გადაჭრა მოახერხა ბორის კუფტინმა. მან „ანაუს“ ტიპის 20-ზე მეტი საცხოვრებელი

ბორცვი გამოიკვლია და შეაგროვა ანთროპომორფული და მოხატული კერამიკის მდიდარი კოლექციები. 1953 წლის მარტში, მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერების განყოფილების სესია, რომელიც 1952 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგებს მიეძღვნა. სესიაზე ბორის კუფტინმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება თურქმენეთში ჩატარებული სამუშაოების შესახებ [Денев 1954:167]. აქვე ექსპონირებული იყო მის მიერ შეგროვებული არქეოლოგიური კოლექციები. ამ მოხსენებამ ცხადყო, რომ ბორის კუფტინმა მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით და ენერგიით შეძლო ამოეხსნა ახალი ამოცანები და ახალ ფაზაში შეეყვანა ე.წ. „ანაუს კულტურის“ შესწავლა. 1953 წელს ბორის კუფტინი ისევ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბრუნდა სამუშაოდ. შენობაში შესვლისთანავე აღტაცებით წამოუძახია „დღეიდან მე ისევ თქვენი თანამშრომელი ვარ“ [დავლიანიძე 2002:75].

ბორის კუფტინმა იმ წლებში ზოგ სხვა მეცნიერის მსგავსად გვერდი ვერ აუქცია მარიზმის პრობლემატიკას. ეს გავლენა აშკარად გამოიკვეთა მის მონოგრაფიაში „მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის“. ეს წიგნი ბორის კუფტინმა დიდი მადლიერების გრძნობით მიუძღვნა „ახალი სწავლების“ შემოქმედს აკად. ნიკო მარს, რომელსაც იგი კავკასიისა და საქართველოს კვლევისკენ მის კარდინალურ შემობრუნებას უმაღლოდა. ამ ნაშრომის პირველი ტომი ჯერ კიდევ 1935 წელს დაიწერა, მაგრამ გამოქვეყნდა 1949 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ნიკო მარის თეორიის მიმართ არაკეთილგანწყობა სუფევდა, წინასიტყვაობაში ბორის კუფტინი აღნიშნავდა, რომ მარის კონცეფციები მისთვის ძველებურად მნიშვნელოვანი იყო. ნაშრომის მეორე ტომში, რომელიც 1950 წელს დაიბეჭდა, ავტორი შედარებით ნაკლებად იყენებდა მარისტულ თეორიას. იგი აღნიშნავდა, რომ ამ თეორიამ ნიკო მარის სიკვდილის შემდეგ ვერ შეძლო შესაბამისი სახით გარდაქმნა, მაგრამ ნაოხვამუს ბორცვზე აღმოჩენილი ცხენის თავის სკულპტურული გამოსახულების განხილვისას „იაფეტურ ეკვილინბრისტიკას“ მაინც მიმართავდა. ამ შეხედულებების გამო ბორის კუფტინი მრავალი ბრალდების და კრიტიკის ობიექტი გახდა. 1952 წელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების სხდომაზე, ამ შრომამ დიდი კრიტიკის ცეცხლში გაიარა. საბოლოოდ უარყოფილი იქნა მარისტული თეორია და შესაბამისად ბორის კუფტინის პოზიციაც არასწორად იქნა მიჩნეული. „კუფტინის ეგონა, რომ აღარავინ მიუბრუნდებოდა მის კოლხეთის პირველ ტომს და მითუმეტეს არავინ წაიკითხავდა მეორე ტომს, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია მარისტული



კონსულტაციები“ წერდა ვ. კისილევი [Киселев 1953:138]. სესიაზე აღინიშნა, რომ „მას შემდეგ, რაც გამოვიდა სტალინის გენიალური შრომები ენათმეცნიერების შესახებ, ზოგიერთი მეცნიერი რომლებიც წარსულში მარიზმის პროპაგანდას ეწეოდნენ – ა. უდალცოვი, პ. ეფიშენკო, ბ. კუფტინი და სხვები – არ ცდილობენ თავისი შეცდომების აღიარებას“ [АРАН:128; АЛЫМОВ, РЕШЕТОВ 2003:262].

ბორის კუფტინი იყო დიდი მეცნიერი, მან მეცნიერთა მთელი თაობა გამოზარდა. მისი სამეცნიერო ინტერესები ენციკლოპედიური მასშტაბით ხასიათდება, რომელშიც ჩართულია არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის სფეროები [Дебеш 1954:167]. დაპატიმრებამ და გადასახლებამ მისი ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა ორ პერიოდად გაყო. ცხოვრების პირველ პერიოდში, რუსეთში მოღვაწეობისას მის მთავარ კვლევის მიზანს ეთნოგრაფია წარმოადგენდა, ხოლო საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ არქეოლოგია გახდა მისი მეცნიერული ინტერესის მთავარი საგანი. ეთნოგრაფიული პრობლემატიკა ბოლომდე არ გამქრალა მისი მეცნიერული ინტერესებიდან, თუმცა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ქართული არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში ბორის კუფტინმა სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მან საქართველოს არქეოლოგიაში შექმნა ახალი ეტაპი, შექმნა კულტურულ-ისტორიული განვითარების ისეთი სურათი, რომელმაც კარდინალურად შეცვალა ამიერკავკასიის უძველესი ისტორია და კავკასიას განსაზღვრული როლი მიაკუთვნა აღმოსავლეთის უძველეს კულტურათა სისტემაში. მან სისტემაში მოიყვანა და შეისწავლა იმ დროისათვის ყველა ცნობილი არქეოლოგიური მასალა, დაადგინა მტკვარ-არაქსის და ათრიალეთის კულტურის გენეტიკური კავშირი, განსაზღვრა აფხაზეთის დოლმენების ასაკი, კოლხეთის დაბლობზე სამოსახლო ბორცვების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. იგი თავის დასკვნებს ამყარებდა მრავალრიცხოვანი ანალოგებით. ბორის კუფტინის მიერ შემუშავებულმა ქრონოლოგიურმა სქემამ შემდგომში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში და დღემდე არსებითი ცვლილება არ განუცდია. ბორის კუფტინის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შეიქმნა ცალკე ფონდი, რომელსაც „თრიალეთის ფონდი“ ეწოდა. იგი იყო ღრმად ერუდირებული მეცნიერი, მის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, აქტუალობა და მეცნიერული ღირებულება. თანამედროვე მეცნიერები მისი დებულებების სისწორეს



დღესაც აღიარებენ. ო. ჯაფარიძე წერს: „მის მიერ თავიდანვე სწორად იყო დანახული კულტურულ-ისტორიული განვითარების სურათი. მან გააკეთა საფუძვლიანი დასკვნა, რომ ქართველი ხალხის ისტორიის უძველესი ფესვები უნდა ვეძებოთ ადრეულ წარსულში, ბრინჯაოს ხანის კულტურაში. შემდგომმა კვლევებმა და დიდალმა ფაქტობრივმა მასალამ უფრო მეტად დააზუსტა და დაამტკიცა მისი მოსაზრებები“ [Джапаридзе 1993:248]. სამწუხაროდ, მას ვერ დასცალდა განეხორციელებინა ის გეგმები, რომელიც სამომავლოდ ჰქონდა წარმოდგენილი. 1953 წლის 2 აგვისტოს, ლატვიაში, ქ. რიგის მახლობლად, მეცნიერის სიცოცხლე ტრაგიკულმა შემთხვევამ შეინირა. მისი ბოლო სურვილის თანახმად ის საქართველოში გადმოსვენეს და ქალაქ თბილისში, ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. მის გვერდითაა დაკრძალული მისი მეუღლე ვალენტინა სტეშენკო-კუფტინა, რომელმაც ბორის კუფტინის სიკვდილის მეორე დღეს თავი მოიკლა.

### ლიტერატურა

1. აბულაშვილი თ., 2009, ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბ.
2. დავლიანიძე ც., 2002, არქეოლოგიის განყოფილება მუზეუმში, სსმმ, №44, გვ. 71-84, თბ.
3. ჯაფარიძე ო., 1959, ბრინჯაოსა და რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, გვ. 68-107, 129-155 თბ.
4. Алымов С., Решетов А., Борис Алексеевич Куфтин: изломы жизненного пути, 2003, Москва.
5. АМАЭ, ф. К1, оп. 7, № 7, л. 249, 287.
6. Апакидзе А.М., 1964, Развитие археологической науки в советской Грузии, СА. № 4. с. 5-6, Тбилиси.
7. АРАН, ф. 142, оп. 1, д. 509, л. 128.
8. Богданов В.В., 1927, Задачи этнологического изучения Центрально-промышленной области, Вопросы этнологии Центрально-промышленной области, Москва.
9. Бутенина Н.Д., 1989, К истории Дальневосточной энциклопедии. Проблемы краеведения (Арсеньевские чтения), Уссурийск.
10. Генинг В.Ф., 1982, Очерки по истории советской археологии, Киев.
11. Дебец Г.Ф., 1954, Памяти Б.А.Куфтина, СЭ№ 1, с. 166-168.
12. Джапаридзе О.М., 1993, К 100-летию со дня рождения академика Б.А. Куфтина. РА№ 3, с. 246-248.

13. Массон М.Е., 1954, Куфтин Б.А. (1892-1953) Некролог, ИАН Туркменской ССР., № 1, с. 91-92, Ашхабад.
14. Киселев А., 1953, Против вульгаризации марксизма в археологии, Москва.
15. Куфтин Б.А., 1916, Календарь и первобытная астрономия киргиз-казацкого народа, ЭО № 3-4.
16. Куфтин Б.А., 1928, У гончаров Дмитровского и Воскресенского уездов в Московской губернии, Москва.
17. Куфтин Б.А., 1925, Льяловская неолитическая культура на реке Клязьме в Московском уезде в ее отношении к окскому неолиту Рязанской губернии и ранне-неолитическим культурам Северной Европы, Труды общества исследователей Рязанского края. Вып. 5. Рязань.
18. Куфтин Б.А., 1926, Киргиз-казаки. Культура и быт (применительно к обстано- вочному залу «Уголок кочевого аула» в ЦМН), Москва.
19. Куфтин Б.А., 1927а, Краткий обзор пантеона северного буддизма в связи с историей учения, Москва.
20. Куфтин Б.А., 1929, Задачи и методы полевой этнологии (тезисы доклада). Этнография № 2, с. 128.
21. Куфтин Б.А., 1929а, Культура и быт населения ЦПО, Протоколы совещания. Протокол № 8. Москва.
22. Куфтин Б.А. 1941, Археологические раскопки в Триалети, Опыт периодизации памятников, Т. 1. Тбилиси.
23. Куфтин Б.А., 1941а: Археологическая экспозиция `Триалети древний культурный очаг Грузии эпохи бронзы~, Рукопись, Тбилиси.
24. Куфтин Б.А., 1944: К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ, XII-В, с.291-435.
25. Куфтин Б.А., 1948 Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, Тбилиси.
26. Куфтин Б.А., 1950, Материалы к археологии Колхиды, т. I, II, Тбилиси.
27. Стешенко-Куфтина В., 1930, В.Н. Элементы музыкальной культуры палеоазиатов и тунгусов, Этнография. № 3..
28. Этнография, 1934, БСЭ. т. 64. М., , с. 776.

## შემოკლებათა განმარტება

- ენიმკი – ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
- სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე
- АМАЭ – Архив Музея антропологии и этнографии
- АРАН – Архив Российской Академии наук
- ВГМГ – Вестник государственного музея Грузии
- ИАН – Известия Академии Наук
- БСЭ – Большая Советская Энциклопедия
- МЦПО – Музей Центрально-промышленной области. М.
- ОЛЕАЭ – Общество любителей естествознания, антропологии и этнографии
- РА – Российская археология
- РАИМК – Российской Академии истории материальной культуры
- РОПИК – Российского общества по изучению Крыма
- СА – Советская археология
- СЭ – Советская Этнография
- ЦМН – Центральный музей народоведения
- ЦПО – Центрально-промышленной области
- ЭО – Этнографическое обозрение



ბორის კუფტინი გადასახლების წლებში



ბორის კუფტინი ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმში  
კოლეგებთან ერთად